

“ვამტკიცებ”

ა(ა)იპ „საქართველოს საუნივერსიტეტო

სპორტის ფედერაციის“ გენერალური მდივანი

ალექსანდრე მუკათარიძე

19 სექტემბერი, 2022წ

“საქართველოს უნივერსიადა 2022”- ის დებულება

1. მიზანი და ამოცანები

“ საქართველოს უნივერსიადა - 2022” მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო სპორტში ახალგაზრდების ჩართულობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას, სტუდენტთა ფიზიკურ განვითარებას, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, უმაღლესი სასწავლებლების ჯგუფებში, კურსებზე, ფაკულტეტებზე სპორტული სექციების საქმიანობის გააქტიურებას, გამარჯვებული სპორტსმენებისა და გუნდების გამოვლენას, საქართველოს სტუდენტური ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევას.

2. უნივერსიადის ჩატარების ხელმძღვანელობა და მონაწილენი

“ საქართველოს უნივერსიადა _ 2022”-ის მომზადებასა და ჩატარებაზე საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით. უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების უშუალო ჩატარება ევალება ფედერაციის მიერ დამტკიცებულ მსაჯთა კოლეგიას.

საქართველოს უნივერსიადა ჩატარდება თბილისში 2022 წლის 20 ოქტომბრიდან – 20 ნოემბრამდე. შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან

სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში. შევსებული განაცხადები და მონაწილეების სტუდენტობის და პირადობის დამადასტურებელი საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს 2022 წლის 15 ოქტომბრამდე. კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს, რის შემდეგაც შედეგა პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განრიგი და ეცნობებათ მონაწილეებს.

- **შენიშვნა:** აქტივობების გრაფიკი და ჩატარების ადგილი შესაძლოა შეიცვალოს კლიმატური პირობების გამო, რაც შეთანხმდება მხარდამჭერ ორგანიზაციასთან და ეცნობებათ მონაწილეებს.

“საქართველოს უნივერსიადა 2022” პროგრამა,

N	სპორტის სახეობები	მონაწილეები
1	კალათბურთი	ვაჟთა გუნდები
2	ფუტსალი	ვაჟთა გუნდები
3	ძიუდო	ვაჟები
4	სამბო	ვაჟები
5	ქართული ჭიდაობა	ვაჟები
6	ჭადრაკი	გოგონები, ვაჟები (ინდივიდუალურად)
7	ნარდი	გოგონები, ვაჟები (ინდივიდუალურად)
8	ბადმინტონი	გოგონები, ვაჟები (ინდივიდუალურად)
9	ბილიარდი	შერეული წყვილები
10	ბოულინგი	შერეული გუნდები
11	მაგიდის ჩოგბურთი	გოგონები, ვაჟები (ინდივიდუალურად)
12	ფრენბურთი	გოგონათა და ვაჟთა გუნდები
13	ფეინთბოლი	შერეული გუნდები

ტურნირის ხარჯები

უნივერსიადის ჩატარების ხარჯებს (დარბაზების იჯარა, მსაჯების, კოორდინატორების, მდივნების, ექიმის ანაზღაურება, პრიზები და ა.შ) დაფარავს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში ტურნირი კალათბურთში (ვაჭებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში უნდა იყვნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- განაცხადში შეიძლება არანაკლებ 7 და არაუმეტეს 10 მოთამაშის შეყვანა. შეჯიბრის დაწყებამდე გუნდების ხელმძღვანელები ვალდებული არიან წარმოადგინონ განაცხადში შეყვანილი ყველა მოთამაშის პირადობის მოწმობის ასლი და სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი.
- ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.
- მონაწილე გუნდები ვალდებული არიან იქონიონ ორი განსხვავებული ფერის ფორმა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ლოგოთი.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი კალათბურთში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ახალ სპორტის სასახლეში.
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.

- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

- მონაწილე გუნდები დაიყოფა 4 ჯგუფად.
- ჯგუფებში შეხვედრები გაიმართება წრიულად (ერთ წრედ).
- ჯგუფში მოპოვებული ქულების შესაბამისად I – II ადგილზე გასული გუნდები ჯვარედინად (ა1-ბ2; ა2-ბ1; გ1-დ2; გ2-დ1) შეხვედრიან ერთმანეთს მეოთხედფინალში, მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან ნახევარფინალში (ა1-ბ2-ის გამარჯვებული VS გ1-დ2-ის გამარჯვებული, ხოლო ა2-ბ1-ის გამარჯვებული VS გ2-დ1-ის გამარჯვებული). ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვედრიან ფინალში.
- არასპორტული საქციელისთვის, ძალადობის, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის, თამაშის შედეგებზე ზეგავლენის, FIBA-ს ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის, გუნდის წევრების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შენიშვნა, გაფრთხილება ან გუნდს ჩაეთვლება წაგება (მსგავსი ფაქტის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში გუნდი გამოეთიშება ტურნირს). აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მთავარი მსაჯი.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. ჩატარების პირობები

ტურნირი ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების“ შესაბამისად.

- თამაშის დასაწყებად გუნდი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 7 მოთამაშისაგან: 5 - მოედანზე, 2 - სათადარიგო.

სათამაშო დრო/გამარჯვებული გუნდი

- ძირითადი სათამაშო დრო განისაზღვრება - 40 წუთით (4 პერიოდი). დრო ჩერდება მკვდარი ბურთის დროს და საჯარიმო სროლის შესრულებისას;
- თუ ძირითადი სათამაშო დროის გასვლისას ანგარიში არის თანაბარი, ინიშნება დამატებითი პერიოდი (ოვერტაიმი (5 წუთი)). კვლავ ფრედ დასრულების შემთხვევაში, დამატებითი პერიოდები დაინიშნება გამარჯვებულის გამოვლენამდე). ოვერტაიმის დაწყებამდე ცხადდება ორ-წუთიანი შესვენება;
- გუნდს ჩაეთვლება წაგება თუ დანიშნულ დროს გუნდი (სათამაშოდ) გამოხადებული არ გამოცხადდება სათამაშო მოედანზე.

თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება:

ა) ურთიერთშეხვედრის შედეგი;

ბ) ბურთების შეფარდება

5. მსაჯობა

- ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები
- არაორდინალური მდგომარეობის შექმნისას მთავარი მსაჯი ადგილზე წყვეტს სადაო საკითხს.
- მთავარი მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოოა.

6. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ფუტსალში

(ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში უნდა იყვნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- განაცხადში შეიძლება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 14 მოთამაშის შეყვანა. შეჯიბრის დაწყებამდე გუნდების ხელმძღვანელები ვალდებული არიან წარმოადგინონ განაცხადში შეყვანილი ყველა მოთამაშის პირადობის მოწმობის ასლი და სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი.
- ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.
- მონაწილე გუნდები ვალდებული არიან იქონიონ ორი განსხვავებული ფერის ფორმა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ლოგოთი.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ფუტსალში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ახალ სპორტის სასახლეში .
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.

- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

- მონაწილე გუნდები დაიყოფა 4 ჯგუფად.
- ჯგუფებში შეხვედრები გაიმართება წრიულად (ერთ წრედ).
- ჯგუფში მოპოვებული ქულების შესაბამისად I – II ადგილზე გასული გუნდები ჯვარედინად (ა1-ბ2; ა2-ბ1; გ1-დ2; გ2-დ1) შეხვედრიან ერთმანეთს მეოთხედფინალში, მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან ნახევარფინალში (ა1-ბ2-ის გამარჯვებული VS გ1-დ2-ის გამარჯვებული, ხოლო ა2-ბ1-ის გამარჯვებული VS გ2-დ1-ის გამარჯვებული). ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვედრიან ფინალში.
- არასპორტული საქციელისთვის, ძალადობის, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის, თამაშის შედეგებზე ზეგავლენის, FIFA-ს ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის, გუნდის წევრების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შენიშვნა, გაფრთხილება ან გუნდს ჩაეთვლება წაგება (მსგავსი ფაქტის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში გუნდი გამოეთიშება ტურნირს). აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მთავარი მსაჯი.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. ჩატარების პირობები

ტურნირი ტარდება FIFA-ს წესების შესაბამისად:

- თამაშის დროს მოედანზე გუნდები 5-5 კაცის შემადგენლობითაა წარმოდგენილი (მათგან 1 - მეკარე) (დანარჩენი მოთამაშეები - სათადარიგოთა სკამზე).

- შეხვედრა შედგება ორი, 20 წუთიანი ("ჭუჭყიანი დრო") ტაიმისაგან;
- ტაიმებს შორის შესვენება 10 წუთია;
- მატჩის ძირითადი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი დრო 5 წუთი. მატჩის დამატებითი დროის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ინიშნება პენალტების სერია. 5-5 პენალტი;
- დაშვებულია ნებისმიერი რაოდენობის შეცვლები. ყველა შეცვლილ მოთამაშეს უფლება აქვს დაბრუნდეს მოედანზე;
- თითო ტაიმში 5 ჯარიმის აღებისას, მიღებული ყოველი შემდეგი ჯარიმისას ინიშნება 10-მეტრიანი დარტყმა;
- აუტის შიდა ხაზიდან მოწოდების შემთხვევაში, ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგე გუნდს. ბურთი უნდა დაფიქსირდეს ხაზზე;
- მეკარეს ბურთის გაჩერება შეუძლია 4 წამი, როგორც ხელში, ასევე ფეხით;
- თამაშის დროს, როდესაც მეკარე დაიწყებს კარიდან თამაშს და ბურთს გაათამაშებს, სანამ მოწინააღმდეგე არ შეეხება ბურთს, მოთამაშე მეორედ ვერ უბრუნებს მეკარეს;
- მწვრთნელს უფლება აქვს თითოეულ ტაიმში აიღოს ერთი წუთშესვენება;
- მოთამაშე ჯარიმდება ყველა ამ წესის დარღვევისათვის, აგრეთვე ბლოკირებისათვის და უხეში თამაშისათვის;
- მოთამაშე ემორჩილება მსაჯის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი მოიხსნება ტურნირიდან;
- ყვითელ და წითელ ბარათს, მოთამაშე მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც უხეშად ან სახიფათოდ ითამაშებს მოწინააღმდეგესთან. ასევე მსაჯთან შელაპარაკება ისჯება წითელი ბარათით;
- გაგდებულ მოთამაშეს უფლება არ აქვს დაბრუნდეს მოედანზე;
- მოთამაშის გაგდებისას გუნდს უფლება არ აქვს გაგდებული მოთამაშის ნაცვლად სათადარიგო მოთამაშე გამოიყვანოს მოედანზე. 2 წუთი;
- გაშვებული გოლის შემდეგ გუნდი თამაშს იწყებს ცენტრიდან;
- როდესაც ბურთი გადაკვეთს აუტის ხაზს ბურთის მოწოდება ხდება გადასვლის ადგილის ხაზიდან.

5. მსაჯობა

- ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

6. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ძიუდოში

(ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 14 სპორტსმენისა (ერთ წონით კატეგორიაში არაუმეტეს 2 სპორტსმენი).

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ძიუდოში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ძიუდოს აკადემიაში.
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;

- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს,

- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება 60, 66, 73, 81, 90, 100, + 100 კგ. წონით კატეგორიებში. ერთ წონით კატეგორიაში გუნდიდან (ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან) დაიშვება არა უმეტეს ორი მოჭიდავე. მონაწილეებმა აწონვაზე თან უნდა იქონიონ სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი და პირადობის მოწმობა ასლებთან ერთად. ტურნირი ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო წესების შესაბამისად, დამამშვიდებელი ორთაბრძოლების გარეშე. (წონაში დაშვება 2 კგ.), მონაწილეებმა უნდა იქონიონ ორი ფერის კიმონო.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები (ორი მესამე ადგილი) მიიღებენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებს და მედლებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი სამბოში

(ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 14 სპორტსმენისა (ერთ წონით კატეგორიაში არაუმეტეს 2 სპორტსმენი).

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი სამბოში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, სამბოს ცენტრალური დარბაზი (სპორტის აკადემიის გვერდით)
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს,
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება 58კგ, 64კგ, 71კგ, 79კგ, 88კგ, 98კგ, +98კგ. წონით კატეგორიებში. ერთ წონით კატეგორიაში გუნდიდან (ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან) დაიშვება არა უმეტეს ორი მოჭიდავე. მონაწილეებმა აწონვაზე თან უნდა იქონიონ სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი და პირადობის მოწმობა ასლებთან ერთად. ტურნირი ჩატარდება სამბოს საერთაშორისო წესების შესაბამისად. (წონაში დაშვება 2 კგ.), მონაწილეებმა უნდა იქონიონ ორი ფერის ჩოხა.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირის მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები (ორი მესამე ადგილი) მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებს და მედლებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

(ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი

სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.

- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 14 სპორტსმენისა (ერთ წონით კატეგორიაში არაუმეტეს 2 სპორტსმენი).

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ქართულ ჭიდაობაში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, სამხოს ცენტრალური დარბაზი (სპორტის აკადემიის გვერდით)

- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება 60კგ, 66კგ, 73კგ, 81კგ, 90კგ, 100 კგ, +100კგ. წონით კატეგორიებში. ერთ წონით კატეგორიაში გუნდიდან (ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან) დაიშვება არა უმეტეს ორი მოჭიდავე. მონაწილეებმა აწონვაზე თან უნდა იქონიონ სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი და პირადობის მოწმობა ასლებთან ერთად. ტურნირი ჩატარდება ქართული ჭიდაობის შეჯიბრების არსებული წესების შესაბამისად. (წონაში დაშვება 2 კგ.), მონაწილეებმა უნდა იქონიონ ორი ფერის ჩოხა.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელები და მედლებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ჭადრაკში

(გოგონებში და ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ჭადრაკში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ვერის ბაღში (ჭადრაკის სასახლე)
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;

- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.

- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.

- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

სისტემა - ტურნირი ჩატარდება ფიდე-ს წესებით, შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად.

დროის კონტროლი - თითოეულ მოთამაშეს ეძლევა 1 სთ., ყოველ სვლაზე 10 წმ. დამატებით;

გამარჯვებულთა გამოვლენა - გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით.

თავი -ბრეიქი: ორი ან რამდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

ა) ბუჭგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);

ბ) ბუჭგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);

გ) მოგებების რაოდენობით;

დ) პროგრესი (რეგრსით)

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ტურნირი ჩატარდება შემდეგ კატეგორიებში:

- ვაჟთა ერთეულები

- გოგონათა ერთეულები

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირის მომსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებს, მედლებსა და თასებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ნარდში

(გოგონებში და ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ნარდში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ვერის ბაღში (ჭადრაკის სასახლე)

- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
 - კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
 - ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება საერთაშორისო წესების შესაბამისად, ოლიმპიური სისტემით, 2 პარტიის მოგებამდე.

ტურნირი ჩატარდება შემდეგ კატეგორიებში:

- ვაჟთა ერთეულები
- გოგონათა ერთეულები

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირის მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებს, მედლებსა და თასებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ბადმინტონში

(გოგონებში და ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ბადმინტონში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში.
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.

- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება «BWF» - ის („ბადმინტონის მსოფლიო ორგანიზაციის“) მოქმედი წესების თანახმად, ოლიმპიური სისტემით

ტურნირი ჩატარდება შემდეგ კატეგორიებში:

- ვაჟთა ერთეულები
- გოგონათა ერთეულები
- *შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)*

4. მსაჯობა

- ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებს, მედლებსა და თასებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ბილიარდში

(შერეულ წყვილებს შორის)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს 1 გუნდი. (თითოეულ გუნდში არის 1 გოგონა და 1 ვაჟი).
- ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ბილიარდში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ისთ ფონთში („ლებოვსკი“)
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
 - კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
 - ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით; შეჯიბრება გუნდურია;

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირის მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და დიპლომებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ბოულინგში (შერეულ გუნდებს შორის)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- ტურნირში მონაწილე უნივერსიტეტი ვალდებულია წარადგინოს გუნდი 6 მონაწილის შემადგენლობით (4 გოგონა, 2 ვაჟი);
 - ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ბოულინგში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ისთ ფონთში („ლეზოვსკი“)
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
 - კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
 - ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, 4 ეტაპად, 10 ბილიკზე. შეჯიბრება გუნდურია; ყოველი წრის დაწყებამდე იქნება საცდელი პერიოდი. ერთი გეიმი შედგება 10 ჩარჩოსაგან (Fრამე), სადაც იმ ქულების რაოდენობა იწერება, რამდენ კეგლსაც წააქცევს მოთამაშე. თამაშის მთავარი პრინციპი მაქსიმალური ქულების დაგროვებაა. იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშემ ერთი გაგორებით 10-ვე კეგლი წააქცია, მაშინ ეს შტიკე-ია და გუნდს ემატება 10 ქულა + იმ ქულის რაოდენობა, რამდენსაც შემდეგი 2 გაგორებით აიღებს გუნდი. თუ

მოთამაშემ 2 გაგორებით წაქცია 10-ვე კეგლი, მაშინ ეს შპარე-ია და გუნდს ემატება 10 ქულა + მომდევნო ერთი გაგორებით მოგროვილი ქულა. სტრაიკი ანგარიშის ტაბლოზე აღინიშნება X-ით (იქსით), ხოლო შპარე /-ით (დახრილი ხაზით).

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირის მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში

(გოგონებში და ვაჟებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში უნდა იყვნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განაცხადში შეიყვანოს 2 ვაჟი და 2 გოგონა.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, „ილიას ბაღში“.
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი.
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, მაგიდის ჩოგბურთში მოქმედი საერთაშორისო წესების შესაბამისად. მატჩები გაგრძელდება 2 პარტიის მოგებამდე, ხოლო 1/4 ფინალიდან - 3 პარტიის მოგებამდე.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირის მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის სიგელებს, მედლებსა და თასებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ფრენბურთში

(ვაჟებში და გოგონებში)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის გუნდებს, რომელთა შემადგენლობაში უნდა იყვნენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უნივერსიტეტს შეუძლია წარმოადგინოს ჯამში 2 გუნდი (გოგონათა და ვაჟთა), განაცხადში შეიძლება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 15 მოთამაშის შეყვანა. შეჯიბრის დაწყებამდე გუნდების ხელმძღვანელები ვალდებული არიან წარმოადგინონ განაცხადში შეყვანილი ყველა მოთამაშის პირადობის მოწმობის ასლი და სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი.
- ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.
- მონაწილე გუნდები ვალდებული არიან იქონიონ ორი განსხვავებული ფერის ფორმა შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ლოგოთი.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ფრენბურთში ვაჟთა და გოგონათა შორის ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტულ ცენტრში.
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა

- მონაწილე გუნდები დაიყოფა 4 ჯგუფად.
- ჯგუფებში შეხვედრები გაიმართება წრიულად (ერთ წრედ).
- ჯგუფში მოპოვებული ქულების შესაბამისად I – II ადგილზე გასული გუნდები ჯვარედინად (ა1-ბ2; ა2-ბ1; გ1-დ2; გ2-დ1) შეხვედრიან ერთმანეთს მეოთხედფინალში, მეოთხედფინალში გამარჯვებული გუნდები დაწყვილდებიან ნახევარფინალში (ა1-ბ2-ის გამარჯვებული VS გ1-დ2-ის გამარჯვებული, ხოლო ა2-

ბ1-ის გამარჯვებული VS გ2-დ1-ის გამარჯვებული). ნახევარფინალში დამარცხებული გუნდები ითამაშებენ III ადგილისათვის, ხოლო გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ფინალში.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. ჩატარების პირობები

ტურნირი ტარდება FIVB წესების შესაბამისად.

5. მსაჯობა

ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

6. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელებს.

„საქართველოს უნივერსიადა 2022“-ის ფარგლებში

ტურნირი ფეინთბოლში

(შერეულ გუნდებს შორის)

1. მონაწილეები

- ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ შესაბამისი სასწავლებლის ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე და რეგისტრირებულნი არიან სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში.
- თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს 1 გუნდი, გუნდის განაცხადში უნდა იყოს 5 მოთამაშე (მათ შორის მინიმუმ 2 გოგონა).
- ტურნირის მონაწილეს არა აქვს ორ სხვადასხვა გუნდში თამაშის უფლება.

2. ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი

- ტურნირი ფეინთბოლში ჩატარდება ამა წლის 20 ოქტომბრიდან - 20 ნოემბრამდე პერიოდში თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე
- განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერი;
- კენჭისყრა გაიმართება 2022 წლის 17 ოქტომბერს.
- კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დგება ტურნირის გრაფიკი.
- ტურნირის მასპინძელი უზრუნველყოფს წესრიგსა და სათანადო ნორმების დაცვას.

3. ჩატარების სისტემა და წესები

ტურნირი ჩატარდება ოლიმპიური სისტემით; შეჯიბრება გუნდურია. თამაშის დაწყებისას, მოედანზე თითოეულ გუნდში უნდა იყოს 5 მოთამაშე.

წესი პირველი: მსაჯების მოთხოვნების შესრულება აუცილებელია უსაფრთხოების და პატიოსანი თამაშის პრინციპიდან გამომდინარე. შეჯიბრი იწყება მხოლოდ მსაჯის სიგნალის (სასტვენის) შემდეგ და წყდება ფინალურ სასტვენზე. მსაჯს აქვს უფლება დისკვალიფიკაცია მისცეს (დაატოვებინოს შეჯიბრი) იმ მონაწილეს რომელიც არღვევს წესებს.

წესი მეორე: საბრძოლო მოედანზე ყოფნისას, ყველა მონაწილემ უნდა ატაროს სახის დამცავი ნიღაბი.

წესი მესამე: პეინტბოლის იარაღი არ არის სათამაშო და მას ფრთხილად უნდა მოვეპყროთ. გახსოვდეთ რომ, იარაღი ყოველთვის შეიძლება იყოს დატენილი. თუ არ ვისვრით დავიჭიროთ ის ლულით დაბლა, თითი არ დაადოთ სასხლეტს. დაუშვებელია იარაღის მიშვერა უნიღბო ადამიანებზე.

წესი მეოთხე: მონაწილე წაგებულად ითვლება, თუ მას მოხვდა პეინტბოლის ტყვია და შეიღება. მოხვედრა ითვლება სხეულის ან დამცავი ფორმის ნებისმიერ ნაწილში (იარაღის გარდა). შეღებილი მონაწილე ვალდებულია ასწიოს ხელები, ხმამაღლა გამოაცხადოს რომ გამოდის და დატოვოს საბრძოლო მოედანი. ის განახლებს ბრძოლას შემდეგ რაუნდში, მსაჯების მიერ ფორმის საღებავისგან გაწმენდის შემდეგ. იგივე ხდება ტყვიების გამოლევის შემთხვევაში.

წესი მეხუთე: იგებს ის გუნდი რომლის მონაწილეები შეღებავენ მოწინააღმდეგე გუნდის ყველა წევრს, ან ამ უკანასკნელებს დაუმთავრდებათ ტყვიები.

წესი მეექვსე: გუნდებს აცვიათ დამცავი კომბინიზონები და სხვადასხვა ფერის (მწვანე და შავი) დამცავი ჟილეტები და ნიღბები, რომლებითაც ისინი განასხვავებენ მოწინააღმდეგეს.

წესი მეშვიდე: პეინტბოლის სათამაშოდ არ დაიშვებიან: არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირები

წესი მერვე: ნებისმიერი სახის სპორტული თაღლითობა (დადასტურებული მორტყმის არ აღიარება, ხელების აწევა და შემდეგ სროლის განახლება და ა.შ.) სრულდება მთელი გუნდისთვის ტექნიკური წაგების ჩათვლით. ბრძოლის დროს ნიღბის მოხსნა ისჯება მონაწილის დისკვალიფიკაციით.

შენიშვნა: ტურნირის ჩატარების საბოლოო სისტემას და პირობებს განსაზღვრავენ ორგანიზატორები (მონაწილეების რაოდენობის და კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით)

4. მსაჯობა

- ტურნირს მოემსახურებიან კვალიფიციური მსაჯები

5. დაჯილდოება

- საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ შესაბამისი ხარისხის თასებს, ხოლო გუნდების თითოეული წევრი - შესაბამისი ხარისხის მედლებს და სიგელს.

შენიშვნა:

- შეჯიბრებები გაიმართება იმ შემთხვევაში, თუ გუნდურ სახეობებში მონაწილეობს არანაკლებ 4 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი, ხოლო ინდივიდუალურ სახეობებში მედლები გათამაშდება პროგრამის თითოეულ სახეობაში არანაკლებ 3 მონაწილის შემთხვევაში. თითოეული მონაწილე ვალდებულია შეჯიბრის მსვლელობისას თან იქონიოს პირადობის მოწმობა და სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობა.
- უმაღლესმა სასწავლებლებმა 10 ოქტომბრამდე უნდა წარმოადგინონ ტექნიკური განაცხადი (წერილი და გუნდები სარეგისტრაციო ბლანკის შესაბამისად), რომელიც დამტკიცებული იქნება სასწავლებლის ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით და ბეჭდით. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს მონაწილეთა პირადობის მოწმობებისა და სტუდენტობის დამადასტურებელი ცნობის ასლები. გუნდურ სახეობებში სასურველია ყველა გუნდი წარმოდგენილ იყოს ორი განსხვავებული ფერის სათამაშო ფორმით შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის ლოგოთი (არ ქონის შემთხვევაში ორგანიზატორების მხრიდან უზრუნველყოფილი იქნებით შესაბამისი გადასაცემელი მაისურით).
- იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მონაწილე არ აღმოჩნდება სტუდენტი, სხვა სასწავლებლის სტუდენტი, გათვალისწინებულია შემდეგი სანქციები:

- ინდივიდუალურ სახეობაში მონაწილე მოიხსნება ტურნირიდან, გუნდურ სახეობაში გუნდს ჩაეთვლება წაგება.
- განმეორების შემთხვევაში გუნდი მოიხსნება იმ კონკრეტული სახეობიდან, სადაც აღმოჩენილი იქნება დარღვევა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ღონისძიების დასრულებიდან 1 საათის განმავლობაში უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე.

დებულება დამტკიცებულია საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ.

პატივისცემით,
საქართველოს საუნივერსიტეტო
სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი



ალექსანდრე მუკათარიძე